აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59 ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 107

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტიპენდიების დანიშვნის წესის შესახებ

ქ. ქუთაისი **11 აპრილი 2017 წ.**

1. დამტკიცდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტიპენდიების დანიშვნის წესი წარმოდგენილი სახით.
(სტიპენდიების დანიშვნის წესი თან ერთვის)

2. დადგენილება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სტიპენდიების დანიშვნის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი არეგულირებს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნას.
2. უნივერსიტეტში გაიცემა შემდეგი სახის სტიპენდიები:
   - სახელმწიფო სტიპენდია,
   - VTB სტიპენდია,
   - საუნივერსიტეტო სტიპენდია.
3. სტიპენდია ენიჭება ერთ სტუდენტს სემესტრულად, ერთი აკადემიური სემესტრის ვადით.
4. სტიპენდია ინიშნება და გაიცემა წინა სასწავლო სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, სტიპენდიის კანდიდატებს შორის შერჩევის საფუძველზე.
5. სტიპენდიის კანდიდატად ჩაითვალება:

   ა) აწსუ-ს საბაკალავრო პროგრამების, ასევე დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების II სემესტრის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელსაც ათვისებული აქვს წინა სემესტრებით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და მისი საშუალო შეწონილი შეფასება* (წინა სემესტრის მიხედვით) არანაკლებ 91-ია (მათ შორის, თითოეულ სასწავლო კურსში - არანაკლებ B (81-90 ქულა) შეფასება).

   ბ) აწსუ-ს საბაკალავრო პროგრამების III, IV, V, VI, და VII სემესტრის, ასევე დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X და XI სემესტრის, სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის III, IV, V, VI, VII, VIII და IX სემესტრის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, რომელსაც ათვისებული აქვს წინა სემესტრებით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და მისი საშუალო შეწონილი შეფასება წინა სემესტრის მიხედვით არანაკლებ 91-ია (მათ შორის, თითოეულ სასწავლო კურსში - არანაკლებ B (81-90 ქულა) შეფასება) და აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ კრიტერიუმს:

   - სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;
   - სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა;
   - გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;
   - სხვა საუნივერსიტეტო აქტივობა (ტუტორი, სპორტი, ხელოვნება, ლიტერატურა და სხვა).

   აღნიშნული აქტივობები ჩაითვლება, თუკი განხორციელებულია სტიპენდიის დანიშვნიდან წინა ორ სემესტრში და უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტის წარდგენით.

---

* საშუალო შეწონილი შეფასება გამოითვლება ფორმულით: ($_1$X $_1$+ $_2$X $_2$…)/($_1$+ $_2$…), სადაც A-საგნის კრედიტია, B - შეფასების ქულა.

6. სტიპენდია არ ენიშნება:
   - სტიპენდიის დანიშვნის მომენტისთვის სხვა სტიპენდიის/საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე სტუდენტს;
   - სტუდენტს, რომელსაც სრულად არ აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ეტაპისათვის გათვალისწინებული კრედიტები;
   - წინა სასწავლო სემესტრში მობილობით გადმოსულ სტუდენტს;
   - სტატუსშეწყვეტილ და სტატუსშეჩერებულ სტუდენტს.

მუხლი 2. სახელმწიფო სტიპენდია

1. სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში. სახელმწიფო სტიპენდია შეადგენს თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარს.
2. ფაკულტეტისათვის კუთვნილ სახელმწიფო სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება ამ ფაკულტეტის ბაკალავრიატის და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხულ სტუდენტთა რაოდენობის 4 % .
3. ფაკულტეტის ფიქსირებულ კურსზე რიცხულ სტუდენტთათვის სტიპენდიების რაოდენობა განისაზღვროს ამ კურსის სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად.

ფაკულტეტის ფიქსირებული კურსის ფარგლებში სტიპენდიების განაწილება მოხდეს ამ ფაკულტეტის სპეციალობებზე ან სპეციალობათა ჯგუფებში, მათზე რიცხულ სტუდენტთა კონტინგენტის პროპორციულად. თუ რომელიმე ფიქსირებული კურსის რომელიმე სპეციალობაზე ან სპეციალობათა ჯგუფზე დარჩა ვაკანსია, მაშინ ადგილები გადანაწილდეს იმავე სპეციალობის სხვა ფიქსირებულ კურსებზე. ხოლო თუ ერთი სპეციალობის ყველა კურსზე დარჩება ვაკანსიები, მაშინ ადგილები გადანაწილდეს იმავე ფაკულტეტის სხვა სპეციალობის კურსებზე იგივე პრინციპით.

მუხლი 3. VTB სტიპენდია

1. VTB სტიპენდიის დანიშვნა ხდება VTB-ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. VTB სტიპენდია შეადგენს თვეში 100 (ასი) ლარს.
2. უნივერსიტეტში გაიცემა 15 VTB სტიპენდია, რომელიც ფაკულტეტებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად:
    - ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 3 ადგილი;
    - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 ადგილი;
    - პედაგოგიური ფაკულტეტი - 2 ადგილი;
    - ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 ადგილი;
    - მედიცინის ფაკულტეტი - 2 ადგილი;
    - საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი - 1 ადგილი;
    - საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი - 1 ადგილი;
    - აგრარული ფაკულტეტი - 1 ადგილი;
    - საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი - 1 ადგილი.

მუხლი 4. საუნივერსიტეტო სტიპენდია

1. აწსუ-ს მიერ დანიშნული სტიპენდია შეადგენს თვეში 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარს.
2. ფაკულტეტისათვის კუთვნილ საუნივერსიტეტო სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება ამ ფაკულტეტის ბაკალავრიატის და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხულ სტუდენტთა რაოდენობის 4 %.
3. ფაკულტეტის ფიქსირებულ კურსზე რიცხულ სტუდენტთათვის საუნივერსიტეტო სტიპენდიების რაოდენობა განისაზღვროს ამ კურსის სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად.
4. ფაკულტეტის ფიქსირებული კურსის ფარგლებში საუნივერსიტეტო სტიპენდიების განაწილება მოხდეს ამ ფაკულტეტის სპეციალობებზე ან სპეციალობათა ჯგუფებში, მათზე რიცხულ სტუდენტთა კონტინგენტის პროპორციულად. თუ რომელიმე ფიქსირებული კურსის რომელიმე სპეციალობაზე ან სპეციალობათა ჯგუფზე დარჩა ვაკანსია, მაშინ ადგილები გადანაწილდეს იმავე სპეციალობის სხვა

ფიქსირებულ კურსებზე. ხოლო თუ ერთი სპეციალობის ყველა კურსზე დარჩება ვაკანსიები, მაშინ ადგილები გადანაწილდეს იმავე ფაკულტეტის სხვა სპეციალობის კურსებზე იგივე პრინციპით.

მუხლი 5. სტიპენდიის მინიჭება

1. სტიპენდიის დანიშვნისათვის კანდიდატების შერჩევას ახდენს საფაკულტეტო სტიპენდიის მიმნიჭებული კომისია, შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის ხუს-ის უფროსი, დეპარტამენტის ხელ-ლი, პროგრამის ხელ-ლი, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.
2. კომისიას თავმჯდომარეობს დეკანი, ხოლო მდივანი აირჩევა ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე.
3. გადაწყვეტილებას კომისიის სხდომის მოწვევის შესახებ იღებს კომისიის თავმჯდომარე.
4. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
5. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც აირჩევა ასევე ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე.
6. კომისია იხილავს სტუდენტის მიღწევებს და არსებულ მონაცემებს. გადაწყვეტილება სტიპენდიის მინიჭების საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.
7. სტიპენდიების კანდიდატებს შორის სტიპენდიანტთა გამოვლენა ხდება კონკურსანტთა აკადემიური მოსწრების მონაცემების მიხედვით რანჟირების გზით. მონაცემთა თანაბრობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ყოველი ერთით წინა სემესტრის შეფასებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ერთიანი ეროვნული გამოცდებისას მიღებული სკალირებული ქულა.
8. სტიპენდიის მინიჭების შედეგების გამოცხადება ხდება საჯაროდ.

მუხლი 6. სტიპენდიის მინიჭების შედეგების აპელაცია

1. სტიპენდიის მინიჭების შედეგების სააპელაციო განცხადების მიღება მიმდინარეობს სტიპენდიის მინიჭების შედეგების გამოცხადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
2. სააპელაციო განცხადებები მიიღება სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრში.
3. სააპელაციო კომისია შემდგომი 2 სამუშაო დღის ვადაში იხილავს სააპელაციო განცხადებებს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

მუხლი 7. სააპელაციო კომისია

1. სააპელაციო განაცხადებისა და დოკუმენტების განხილვის მიზნით, რექტორის მიერ იქმნება სააპელაციო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან: რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტების დეკანები. შესაძლებელია კომისიის წევრად მოწვეული იქნეს სხვა პირი (ექსპერტი) სათათბირო ხმის უფლებით.
2. კომისიას თავმჯდომარეობს რექტორის მოადგილე, ხოლო მდივანი აირჩევა ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე.
3. გადაწყვეტილებას კომისიის სხდომის მოწვევის შესახებ იღებს კომისიის თავმჯდომარე.
4. კომისიის სხდომებს ესწრებიან მხოლოდ კომისიის წევრები.
5. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

6. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც აირჩევა ასევე ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით, კომისიის პირველივე სხდომაზე.
7. კომისია იხილავს სტუდენტის სააპელაციო განცხადებას სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე, ისმენს საფაკულტეტო სტიპენდიის მიმნიჭებული კომისიის თავმჯდომარის (ფაკულტეტის დეკანის) ანგარიშს და იხილავს არსებულ მონაცემებს.
8. გადაწყვეტილება სტიპენდიის აპელაციის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.